საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

30/10/2026

MES 2 26 0001567109

გადაწყვეტილება

"შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ) აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 14 აგვისტოს №1050101 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში 2026 წლის 09 ოქტომბრის №1428597 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. "შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ) აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 14 აგვისტოს №1050101 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში 2026 წლის 09 ოქტომბრის №1428597 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:
1.1. გადაწყვეტილების დანართის მე-14 ნაწილში "პროგრამის განხორციელების ადგილის" ველში შპს კავკასიის უნივერსიტეტთან ერთად ჩაიწეროს (ქეინის უნივერსიტეტის (Kean University, აშშ) მისამართიც და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- კავკასიის უნივერსიტეტი - პაატა სააკაძის ქ. 1, ქ.თბილისი 0102, საქართველო
- ქეინის უნივერსიტეტი (Kean University, აშშ) - 1000 Morris Ave, Union, NJ 07083, United States

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 30 ოქტომბრის №1567170 ოქმის №05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 30 ოქტომბერს.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე